სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/95

ქ. თბილისი

16 მაისი 2019

იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს სტუდენტისათვის
ფინანსური შეღავათის გაწევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, საგარეო საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 27 მარტის №01/12239 წერილის გათვალისწინებითა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის №01-05-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას, იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს მოქალაქის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტად ჩარიცხვის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი გაეწევა იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს მოქალაქე ერთ სტუდენტს;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**